



ქართული უნივერსიტეტი

მოსწავლეთა VIII პირადგუნდური საგნობრივი ოლიმპიადა

მათემატიკა - IV კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____


სკოლა, კლასი _____

თანაგუნდელის გვარი, სახელი _____

მასწავლებლის გვარი, სახელი _____

ამოცანები

- ტირში თანხის გადახდისას იძლევიან 5 გასროლის უფლებას. თუმცა, მიზანში ყოველი მოხვედრისას ტირის მფლობელი იძლევა უფასოდ კიდევ ერთხელ გასროლის უფლებას. რამდენჯერ მოახვედრებდა გუგა მიზანს, თუ თანხის ერთხელ გადახდით მოიპოვა 17-ჯერ გასროლის უფლება. პასუხი ახსენით.
- მოცემულია რიცხვთა ოთხი სამეული: ა) 15, 19, 24; ბ) 11, 30, 36; გ) 20, 22, 36; დ) 48, 24, 3. თითოეული სამეულისთვის გამოიყენეთ მხოლოდ ორი მოქმედება შემდეგი ოთხი მოქმედებიდან: შეკრება, გამოკლება, გამრავლება, ან გაყოფა და თუ საჭირო იქნება გამოიყენეთ ფრჩხილებიც, რომ მიიღოთ ერთი და იგივე რიცხვი თითოეული სამეულის რიცხვებით.
- გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა ასო-ბგერით სხვადასხვა ციფრი უნდა იყოს ჩაწერილი. ცნობილია, რომ „რკო“ წარმოადგენს სამი ტოლი რიცხვის გამრავლებისას მიღებული რიცხვის ჩანაწერს. მაშინ „მზე“ წარმოადგენს თუ არა სხვა რაიმე სამი რიცხვის ნამრავლის ჩანაწერს? პასუხი ახსენით. გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა ასო-ბგერით სხვადასხვა ციფრი უნდა იყოს ჩაწერილი.
- სურათზე გამოსახული კუბის მთლიანად შეღებვას სჭირდება 9კგ 600 გ საღებავი. რამდენი გრამი საღებავი დასჭირდება იმ ფიგურის შეღებვას, რომელიც მიიღება მოცემული კუბიდან იმ ოთხი პატარა კუბის ამოჭრით, რომლებიც გადანომრილია ციფრებით: 1, 2, 3, 4.



- მოცემული ტოლობის მარცხენა მხარეში ციფრებს შორის ჩაწერეთ მოქმედებათა ნიშნები, თუ საჭიროა ფრჩხილებიც, ისე, რომ მიიღოთ სწორი ტოლობა $55555 = 80$.
- იპოვეთ ყველა ხუთნიშნა რიცხვი, რომლის ბოლო სამი ციფრის ჯამი 25-ის ტოლია, ხოლო პირველი სამი ციფრის ჯამი 9-ის ტოლია.